1996

# კავკასიონი

The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 95 (389)

ფასი 40 თეთრი




## სამხედრო ექსპერტები კვლავ იმუშავებენ

დსთ-ს ქვეყნების სამხედრო ექსპერტები ივნისის პირველ რიცხვებში განაახლებენ მუშაობას აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო ძალების ყოფნის ახალ მანდატზე, განაცხადა დსთ-ს ქვეყნების შეიარაღებული ძალების საკოორდინაციო საბჭოში საქართველოს წარმომადგენელმა, გენერალ-მაიორმა ვლადიმერ ჩიქოვანმა. ივნისის ბოლოს კი ამ საკითხზე შემუშავებული პროექტის საბოლოო ვარიანტი განსახილველად წარედგინება დსთ-ს თავდაცვის მინისტრთა საბჭოს.




## «არილი»

ლიტერატურული გაზეთი «კავკასიონში»

40 1013 VI - VIII



## აფხაზეთის ომის ვეტერანთა შეკრება

გუშინ თბილისში გაიმართა აფხაზეთში მებრძოლთა კავშირის მეორე კონფერენცია. განიხილეს აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების პრობლემები. აღინიშნა, რომ საჭიროა პარლამენტარებმა უფრო მკაცრად აკონტროლონ თავიანთი გადაწყვეტილებების შესრულების პროცესი. კერძოდ, საუბარი შეეხო 17 აპრილის საქართველოს პარლამენტის დადგენილებას „აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების ღონისძიებათა შესახებ".

კონფერენციაზე ჩატარდა კავშირის ახალი ხელმძღვანელობის არჩევნები. თავმჯდომარედ არჩეულია ავთანდილ გიორბელიძე.

Кавказ-Пресс

## შეტაკება აფხაზ ბოევიკთა შორის

30 მაისს, გალის რაიონის სოფელ საბერიოს ტერიტორიაზე მოხდა შეტაკება აფხაზ ბოევიკთა შორის. ავტომატური იარაღის გასროლის შედეგად დაიღუპა ოთხი ბოევიკი. როგორც სარწმუნო წყარომ „იბერია"-ს შეატყობინა, შეტაკება მოხდა გავლენის სფეროთა განაწილების გამო. ამავე წყაროს ცნობით, კონფლიქტის ზონაში განლაგებულმა რუსეთის სამშვიდობო ძალებმა გააძლიერეს კონტროლი სოფ. საბერიოს მიმდებარე ტერიტორიაზე.

## აფხაზები გოგოხიას ვერ „შელევიან"

რამოდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა მოლაპარაკება აფხაზურ მხარესთან ოჩამჩირის ბატალიონის მეთაურის რუზგენ გოგოხიას გათავისუფლების თაობაზე. ეს მოლაპარაკებები უშედეგოდ დასრულდა, რადგან აფხაზურმა მხარემ კატეგორიული უარი განაცხადა რგოგოხიას გათავისუფლებაზე. როგორც ცნობილია, რგოგოხიას, ე.წ. აფხაზური სასამართლოს მიერ, მისჯილი აქვს სიკვდილით დასჯა სამშობლოს ღალატის ბრალდებით.

იბერია

## ეკონომიკა

## ვაჭრობა მარტო აღებ-მიცემობაა?

(დასასრული; დასაწყისი იხ. „კავკასიონი" №94)

შეგახსენებთ: გუშინდელ წერილში საუბარი გვქონდა სამამულო წარმოების საკვები პროდუქტის წარმოებასა და სერტიფიცირებაზე, რომელზეც თავისი აზრი გამოთქვა სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების სახელმწიფო ლიცენზირებისა და ექსპერტიზის სამსახურმა.

სამამულო საკვები პროდუქციის მწარმოებლებს ამ საკითხზე თავისი აზრი გააჩნიათ. ისინი არ უარყოფენ, რომ მათ მიერ წარმოებულ პროდუქციას აუცილებლად უნდა ახლდეს სავალდებულო სერტიფიკატი, ანუ სტანდარტის სავალდებულო მოთხოვნებთან პროდუქციის შესაბამისობის დადასტურება, მაგრამ მიიჩნევენ, რომ საქართველოში მაკონტროლებელ უწყებათა სიმრავლე მეწარმეობის განვითარებას აფერხებს.

ერთი წუთით დავიჯეროთ, რომ მწარმოებელი პასუხისმგებელია წარმოებულ პროდუქციაზე და მას არ აწუხებს რომელიმე მაკონტროლებელი ორგანო. რა მოხდება მაშინ?

იხილეთ მე-4 გვ.

## პრესკონფერენცია

## პირველი წარმატება ნავთობის ტრანსპორტირების პროექტის განხორციელების გზაზე

საქართველოში ორდღიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის დელეგაცია კომპანიის პრეზიდენტის ტერი ადამსის ხელმძღვანელობით. ვიზიტისას განიხილეს აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კომპანიის და საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის თანამშრომლობის და ნავთობსადენის მშენებლობის პროექტთან დაკავშირებული საკითხები. გადაწყდა, რომ თბილისში გაიხსნება ასსკ-ს წარმომადგენლობა. ტერი ადამსი შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს. განიხილეს ნავთობსადენის მშენებლობის და მასში ქართველი მუშახელის დასაქმების საკითხები.

ამ მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრეს გუშინ სახელმწიფო კანცელარიაში გამართულ პრესკონფერენციაზე.

იხილეთ მე-2 გვ.

## იქ, უცხოეთში

## როკფელერები — ერთი ამერიკული დინასტიის ეპოპეა

თავიდან იყო უილიამ ავერი როკფელერი, ფერმერი, რომელიც მე-19 საუკუნის დასაწყისში ჯადოსნური მიქსტურით ვაჭრობდა ინდიელებთან. მერე მისი ვაჟი, ჯონ დევიდსონი, რომელიც რამდენიმე დოლარით ჯიბეში და დიდი შეუპოვრობით, ერთ-ერთი პირველი იწყებს ნავთობის საბადოების დამუშავებას და ქმნის მსოფლიოს უმდიდრეს კომპანიას „სტანდარდ ოილს", შემდეგ — ჯონ დევიდსონ-უმცროსი, რომელიც მამისგან უზარმაზარ სიმდიდრესთან ერთად მემკვიდრეობით თითქმის მისტიკურ სიმკაცრესაც იღებს.

უილიამ ავერი როკფელერი, თავდაპირველად, სანამ მევახშეობასა და სპეკულაციას მიჰყოფდა ხელს, ფერმერი იყო ნიუ-იორკის შტატში, სადაც 1839 წელს დაიბადა ჯონ დევიდსონი. ოჯახისთვის მისი სამუშაო იდუმალებით და ბურუსით იყო მოცული. ხუთი შვილი: ჯონი, უილიამი, ფრენკი, მერი-ენი და ლუსი მას განთიადისას სახლიდან გასულს, საქონლით დატვირთულ ორთვალაზე შემომჯდარს ხედავდნენ მხოლოდ. ამ საქონელს იგი გვარიანი ფასდამატებით ყიდდა ინდიელებზე. გარდა ამისა, ეს ბებერი თაღლითი სოფლებში საკუთარ თავს „დოქტორ როკს" უწოდებდა და თავის „სასწაულმოქმედ" ელექსირს ასაღებდა. როგორც ვესტერნებში გვინახავს, თავგადასავალი ზოგჯერ „დოკის" გასულელებულ მსხვერპლთა განრისხებით და ზურგში მიყოლებული ტყვიების ზუზუნით მთავრდებოდა.



ჯონ დევიდსონ როკფელერ III, ჯონ დევიდსონ როკფელერ-უფროსი და ჯონ დევიდსონ როკფელერ-უმცროსი

იხილეთ მე-6 გვ.

## ზაფხულის მოდა



იხილეთ მე-7 გვერდი

## ვინ ჩაიბარებს რუსეთს?



## პრესკონფერენცია

# პირველი წარმატება ნავთობის ტრანსპორტირების პროექტის განხორციელების გზაზე

პირველი გვერდიდან

ტერი ადამსმა უდიდესი მნიშვნელობა მიანიჭა შვიდი ათასი ტონა ტვირთის — ნავთობსადენის მშენებლობისთვის საჭირო მოწყობილობების შეუფერხებლად გადაზიდვას ფოთიდან ბაქოს მიმართულებით. მისი თქმით, ეს პირველი წარმატებით განხორციელებული ნაბიჯია ნავთობის ტრანსპორტირების პროექტის განხორციელების გზაზე, რაც სამომავლოდ პროექტის საბოლოო განხორციელების წინაპირობად იქცევა. რაც შეეხება კასპიის ნავთობის ტრანსპორტირების ჩრდილოეთის (რუსეთის) ვარიანტს, დასავლეთის პროექტის პარალელურად მიმდინარეობს სამუშაოები ამ პროექტის განსახორციელებლადაც. ამ ეტაპზე ჩრდილოეთის პროექტი ითვალისწინებს კასპიის ნავთობის ტრანსპორტირებას აზერბაიჯანიდან ფოთამდე და შემდეგ — ნოვოროსიისკის მიმართულებით.

გია ჭანტურია — საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის პრეზიდენტი: „პირველი ტვირთების წარმატებით გადაზიდვამ ფოთიდან ბაქოს მიმართულებით საბოლოოდ დაადასტურა ნავთობის ტრანსპორტირების საქართველოს მარშრუტის რეალობა. ნავთობკომპანიები დარწმუნდნენ, რომ ტვირთების გადატანა ფოთიდან აზერბაიჯანში რეალურია, ვინაიდან, პირველი გადაზიდვა საერთაშორისო სტანდარტების დონეზე განხორციელდა. სწორედ ამ წარმატებამ განაპირობა, რომ უახლოეს პერიოდში ფოთის პორტი კიდევ 4-5 მილიონ ტონა ტვირთს მიიღებს“.

რაც შეეხება საქართველოს გავლით აზერბაიჯანის ძირითადი ნავთობის ტრანსპორტირებას, 1997 წლის ივნისის დასაწყისში აზერბაიჯანის მთავრობა თავად განიხილავს ამ საკითხს და საბოლოოდ დაადგენს ძირითადი ნავთობის ტრანსპორტირების საკითხს საქართველოს ტერიტორიის გავლით.

გია ჭანტურია მიიჩნევს, რომ პროექტის განხორციელება სასიკეთოდ წაადგება საქართველოს ეკონომიკას. თბილისში ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის წარმომადგენლობის გახსნა კი ნიშნავს, რომ საერთაშორისო ნავთობკომპანიები რეალურად არიან დაინტერესებულნი საქართველოს პროექტის განხორციელებით.

აგრეთვე, დიდი მნიშვნელობა აქვს სუფსის ტერმინალის მშენებლობას. ივნისში საერთაშორისო ექსპერტები ეწვევიან საქართველოს და ქართველ ექსპერტებთან ერთად განიხილავენ სუფსის ტერმინალის, ფოთის პორტის და სხვა ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტებს.

დიანა გაბროშვილი

## ეკონომიკა

# ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების დაცვის ლიგის დაფუძნების საინიციატივო ჯგუფის მიმართვა ქართველი მეწარმეებისადმი

როგორც მოგეხსენებათ, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება შეუძლებელია მეწარმეობის განვითარებისა და დაცვის გარეშე. ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების (მათ შორის აქციონირების) შედეგად ყალიბდება მესაკუთრეთა ფენა. ამ პროცესს სჭირდება როგორც სახელმწიფოებრივი, ასევე საზოგადოებრივი მხარდაჭერა.

საქართველოში კერძო მეწარმეობისა და, ზოგადად, კერძო ინსტიტუტების ინტერესებს მეტნაკლები წარმატებით გამოხატავდნენ და იცავდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივი გაერთიანებები. ამ ტიპის ვიწროდარგობრივი ორგანიზაციების არსებობა აუცილებელია მათი სპეციფიკური ინტერესების წარმოსაჩენად და დასაცავად. ამასთან, მიმდინარე პროცესებმა და მოვლენებმა გვიჩვენა, რომ აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს ისეთი საზოგადოებრივი, არაპოლიტიკური სტრუქტურა, რომელიც იქნება სხვადასხვა მიმართულების მეწარმეობის ერთიანი ინტერესების გამომხატველი, ხელს შეუწყობს და პროპაგანდას გაუწევს ქართულ ბიზნესს, დაიცავს მესაკუთრის ინტერესებს, იზრუნებს სამეწარმეო ცხოვრებაში მორალური პრინციპების, პროფესიული ეთიკის საყოველთაოდ მიღებული ნორმების დამკვიდრებაზე.

ამ მიზნით შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელშიც შედიან ქართველი ბიზნესმენები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები. საინიციატივო ჯგუფის მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში არამომგებიანი, არაპოლიტიკური, არასახელმწიფო ორგანიზაციის „საქართველოს ეკონომიკური თავისუფლებისა და კერძო საკუთრების დაცვის ლიგის" შექმნას.

სწორედ ამიტომ მოგმართავთ თქვენ და იმედი გვაქვს მიიღებთ მონაწილეობას ამ ლიგის დაფუძნებაში.

თქვენი მოსაზრებები და წინადადებები გთხოვთ გამოაგზავნოთ საინიციატივო ჯგუფის სახელზე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, სანდრო ეულის ქ.№1 (ვაჟა-ფშაველას ბოლოში), ტელ.: 98-56-32.

პატივისცემით

რ.ბოცირიძე

საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი


GEORGIAN AIRWAYS

ავიაკომპანია „ორბი" ა/წ. 7 ივნისიდან ტუ-154 ტიპის თვითმფრინავით შეასრულებს პირდაპირ რეისებს თბილისი-ამსტერდამი-თბილისის მიმართულებით. გაფრენა თბილისიდან ყოველ პარასკევს დღე დილის 10 სთ. 50 წუთზე. ფრენის ხანგრძლივობა 4 სთ.20 წუთია. ჩამოფრენა თბილისში 20 სთ. 30 წუთზე. მგზავრებს ეძლევათ დიდი რაოდენობით ტვირთის გადატანის საშუალება.

ცნობებისთვის მიმართეთ ავიაკომპანია „ორბის" სააგენტოებს.


## ენერგეტიკა

# ზაფხულში ვალის გასტუმრების დროა

დღეს საქართველოში ყოველდღიურად გამომუშავდება 20 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია, რაც რამდენიმე მილიონით კილოვატსაათით მეტია ზამთრის პერიოდთან შედარებით. ამან შესაძლებელი გახადა მომხმარებლისთვის მისი მიწოდების სტაბილიზება, იტყობინება „საქმთავარენერგოს" ენერგოსისტემის ექსპლუატაციის დირექცია.

ამჟამად თბილსრესის ყველა ბლოკი რემონტზეა დაყენებული, ელექტროენერგიის გამომუშავება კი მთლიანად ჰიდრორესურსების ხარჯზე ხდება. წყალსაცავებში წყლის დონე შეესაბამება პროგნოზულ მაჩვენებლებს, რომლის მიხედვითაც, მაისიდან ივლისის პირველ ნახევრამდე პერიოდი ყველაზე ხელსაყრელია ჰიდროელექტროსადგურების სტაბილური მუშაობისთვის.

აღნიშნულმა გარემოებამ შესაძლებელი გახადა, რომ საქართველო ამჟამად თურქეთს აწვდის ყოველდღიურად ორ მილიონამდე კილოვატსაათ ელექტროენერგიას იმ ვალის დასაფარად, რომელიც ბოლო შვიდი წლის განმავლობაში დაგროვდა.

BS-PRESS

## მართლწესრიგი

# მოსახლეობას პოლიციის კი არ უნდა ეშინოდეს, მისი იმედი უნდა ჰქონდეს

გუშინ შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარდა გაფართოებული სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ შს ხელმძღვანელი მუშაკები, საზოგადოების, მასმედიის წარმომადგენლები. სხდომაზე შს მინისტრმა კახა თარგამაძემ ვრცლად ისაუბრა შინაგან საქმეთა სამინისტროში ბოლო ხანს მიმდინარე სტრუქტურულ ცვლილებებზე, ოთხი თვის განმავლობაში პოლიციის მიერ გაწეულ მუშაობაზე. ბოლო დროის მონაცემებით, მძიმე კატეგორიის დანაშაულები შემცირდა 15 პროცენტით, ოთხი თვის განმავლობაში გახსნილია ათასზე მეტი მძიმე დანაშაული. გატარდა და მომავალშიც განხორციელდება აქტიური ღონისძიებები კორუფციის, მექრთამეობის, ეკონომიკურ დანაშაულთა გამოსავლენად. გამოვლენილნი არიან პირები, რომლებმაც მიითვისეს დიდძალი თანხა თურქმენეთის ვალის გადახდის მიზნით, თურქმენეთში სიგარეტების გადაზიდვის პროცესში. დაკავებულია თბილსრესის გენერალური დირექტორი, რომელსაც ბრალად ედება თბოელექტროსადგურისთვის გათვალისწინებული მაზუთის უკანონოდ გაყიდვა და სოლიდური თანხის მითვისება. დაპატიმრებულია ფირმა „მედიკოსის" პრეზიდენტი, რომელმაც მილიონნახევარი დოლარის ღირებულების ჯართი უკანონოდ გაიტანა საქართველოს ფარგლებს გარეთ.

გააფთრებული ბრძოლა მიმდინარეობს ნარკოტიკების რეალიზატორთა აღსაკვეთად. შსს ნარკომანიისა და ნარკობიზნესის წინააღმდეგ მებრძოლი ეროვნული ბიუროს მიერ ბოლო ოთხი თვის განმავლობაში ამოღებული ჰეროინის, ოპიუმის, მარიხუანას რაოდენობა უტოლდება ხუთი წლის განმავლობაში ამოღებულ ნარკოტიკულ ნივთიერებათა რაოდენობას.

შსს-მ ჯანდაცვის სამინისტროსთან ერთად შეიმუშავა ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის პროექტი, რომელიც უახლოეს ხანებში უშიშროების საბჭოს სხდომაზე დამტკიცდება.

შსს მიერ დაგეგმილია ღამის პოლიციის შექმნა, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ღამის საათებში დანაშაულებრივ ქმედებათა აღკვეთას.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო პოლიციელთა რიგებში კადრების შერჩევის საკითხსაც. კახა თარგამაძემ განაცხადა, რომ პოლიციაში არსებული მდგომარეობა მინისტრზე უკეთ არავინ იცის. ამიტომაც, ცალკეულ თანამშრომელთა დარღვევები, უკანონო ქმედებები არ უნდა იქნეს გამოყენებული მთლიანად შს სამინისტროს კომპრომეტირებისთვის. მიმდინარე წლის დასაწყისიდან, თავად სამინისტროს ძალისხმევით მხილებული და დაპატიმრებულია 50-მდე პოლიციელი, 100-მდე თანამშრომელი დათხოვილია სამსახურიდან, დისციპლინარული რეჟიმის დარღვევისთვის 100-ზე მეტი პოლიციელი დაისაჯა.

სასიამოვნოა, როცა პოლიციაში რეორგანიზაციის, უღირს თანამშრომელთაგან წმენდის პროცესი მიმდინარეობს, რამეთუ არ შეიძლება, გერქვას სამართალდამცავი, როცა თავად უსამართლობას სჩადიხარ; არ შეიძლება, ებრძოდე კორუფციას, როცა თავად კორუმპირებული ხარ. . პოლიცია ვერც პროვოკაციას აღკვეთს, როცა თავად არაერთგზის ჩაუდია მავანისთვის მაპროვოცირებელი ნივთიერება. ასე რომ, მოსახლეობას პოლიციის კი არ უნდა ეშინოდეს, მისი იმედი უნდა ჰქონდეს.

დინარა მაჭავარიანი

## პარლამენტი

# გაუგრძელდა უფლებამოსილების ვადა...

გუშინ საქართველოს პარლამენტის სხდომაზე დეპუტატებმა განიხილეს დადგენილების პროექტი „საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს შემადგენლობის უფლებამოსილების ვადის გაზრდის შესახებ".

პარლამენტის საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის თავმჯდომარემ მიხეილ სააკაშვილმა თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოების შესახებ კანონის ამოქმედებამდე უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს შემადგენლობას უფლებამოსილების ვადა არ გაუგრძელდა, სამართალწარმოების ამ სფეროში წარმოიქმნება სამართლებრივი ვაკუუმი, რაც ბევრ ნეგატიურ პროცესს განაპირობებს. საქართველოს პარლამენტის წევრებმა გაითვალისწინეს აღნიშნული მოსაზრება და მხარი დაუჭირეს წარმოდგენილი დადგენილების პროექტს.

უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს თავმჯდომარის არჩევის საკითხს პარლამენტარები უახლოეს პლენარულ სხდომაზე განიხილავენ.

• პარლამენტის სხდომაზე რატიფიცირება გაუკეთდა აგრეთვე საქართველოსა და განვითარების საერთაშორისო ასოციაციას შორის 1996 წლის 26 აპრილს დადებულ განვითარების საკრედიტო ხელშეკრულებას.

პარლამენტის პრესსამსახური

# სტიქიით დაზარალებულებს დახმა... ...ათ!

გუშინ პარლამენტში გაიმართა მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების საქმეთა კომიტეტის საკომიტეტო მოსმენა. სხდომამ, რომელსაც უძღვებოდა კომიტეტის თავმჯდომარე გურამ შარაძე, განიხილა 80-იან წლებში რაჭაში, სვანეთსა და აჭარაში მომხდარი სტიქიური უბედურებების შედეგად საქართველოს დემოგრაფიულად მძიმე რეგიონ... ჩასახლებული ქართველების საყოფაცხოვრებო პირობები.

გ.შარაძის განცხადებით, დაზარალებულნი, ძირით... ...ლებულნი იყვნენ სამ რეგიონში — ჯავახეთში, ქვემო ქ... ნაწილობრივ, კახეთის ზონაში. წინა ხელისუფლების მი... აშენდა 60-მდე ქართული სოფელი, მაგრამ ბოლო წლ...



...ამო, დემოგრაფიული ბალანსის ...ციელდა. განსაკუთრებით მძიმე ...7 ქართული სოფელია და არც ...წყალი.

...ჩასახლებულნი გადაუხურავ სახ... ...საგრძნობლად იმატა სიკვდილიანო... ...წყდა, რომ კომიტეტმა თხოვნით მიმა... ...ფინანსთა სამინისტროს ფონდებს, რათა ...ქიური უბედურებებით დაზარალებულთათვის ...რობების გასაუმჯობესებლად.

# ქართულ-ოსური საპარლა...ენტო კ...ე

...გუშინ საქართველოს პარლამენტის თა... ...ომ ზურაბ ჟვანიამ და ჩრდილოეთ ალანიის პარლამენტის ...არინოვმა ხელი ...

...ნამშრომლობისკენ ურთიე... მეგობრობის, ადამიანის უ... თა სუვერენიტეტის დაცვ... ქმეებში ჩაურევლობის პრ... ველზე. ყველა სადავო საკ... ...ოი დოკუმენტის თანახ...

...ორი ქვეყნის პარლამენტებთან შეიქმნას საქართველოს ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა ალანიასთან მეგობრობის ჯგუფი. ...მიღწეულია, აგრეთვე, შეთანხმება დელეგაციების გა...ვლაზე, საპარლამენტო ...ლეგ...წევრობის და ქვეყნებში შექმნილი ...აციების შესახებ, ინფორმაციების ...ურთიერთმიწოდებაზე.

### იქ, უცხოეთში...

# ზაფხულის მოდა





ამ ზაფხულს რთული საქმე გაიჩინეს დიზაინერებმა: ცხელი სეზონის მოდა გაამდიდრეს 30-დან 50-იან წლებამდე მოდის ელემენტებით, თანაც შეეცადნენ პხლებური ბრწყინვალება შეეძინათ მოდელებისთვის. პარიზელმა მოდელიორებმა საზაფხულო კოლექციები ზედმიწევნით თამამი, სექსუალური და ფანტაზიით აღსავსე კოსტიუმებით წარმოადგინეს. 30-იანი და 50-იანი წლებისგან განსხვავებით, 1996 წლის ზაფხულის მოდა მეტად ელეგანტური, ქალური და თავისუფალია. ახლა ყველა ტიპის ქალს ბევრად მეტი შესაძლებლობა ეძლევა თავისი პიროვნების უკეთ წარმოსაჩენად. დღევანდელი მოდა საშუალებას იძლევა ყველამ მისთვის სასურველი შთაბეჭდილების შექმნა მოახერხოს, სურვილისამებრ შეარჩიოს ტანსაცმლის სიგრძე და სილუეტი და გამოაჩინოს სხეულის სხვადასხვა შიშველი ნაწილი.

ამ სეზონზე კარლ ლაგერფელდის საყვარელი თემა — „დამალობანას თამაში“ კვლავ ძალაშია. კლაუდია შიფერმა მისი ამ თემაზე შექმნილი ალაგ-ალაგ გამჭვირვალე ქსოვილით გაწყობილი კაბა წარმოადგინა. ჰელენა კრისტენსენმა კი ლაგერფელდისავე ყველაზე ცხელი დღეებისთვის შექმნილი, მაცდური, ყვითელი სატინის კაბით მიიქცია ყურადღება.

მარიო ვალენტინოს მოდელებში ნაომი კემპბელი და ნადია აუერმანი გამოეწყვნენ. ნაომის სალათისფერი კაბის მთავარი დეტალი ამავე ფერის ფართო ტყავის ქამარი და გულზე შემოვლებული ბუმბულებია. ნადია აუერმანი კი სატინის ვარდისფერ ტანსაცმელში ჰოლივუდელ პრიმადონას დაემსგავსა.

ლოლიტა ლემპიკას მომხიბვლელი რომანტიული, ოქროსფერი ოცნების მსგავსი კაბა განსაკუთრებით მაცდურად გამოიყურება შავკანიანი მოდელის — ტირა ბენესის ტანზე.

კრიციას ნაცრისფერი მოკლე ტოპ-ბლუზკისა და შორტისგან შემდგარ ირისის ძაფით ნაქსოვ კოსტიუმს კი ისევ და ისევ სუპერ-მოდელი ნადია აუერმანი წარმოადგენს.

მოამზადა

ნათია ფანჯიკიძე






## იყიდება

■ ან იცვლება, ვაკეში მშენებლობა დამთავრებული, გადახურვის გარეშე 480 კვ.მ., სამსართულიანი ინდივიდუალური პროექტით აშენებული სახლი. ეზოს ფართი 650 კვ.მ. მისამართი: აბაშელის ქ. 23ა, ასავლელი ტაბიძის ქუჩიდან. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 38-79-75 ან 23-08-91.

■ ერთოთახიანი, კოოპერატიული ბინა საბურთალოზე, 8-სართულიანი სახლის VI სართულზე კარგი რემონტით, ორი ოთახის მიშენების პერსპექტივით, სარდაფით, კაპიტალური გარაჟით. გარაჟში ეტევა 4-5 მანქანა, დამატებით აქვს მიშენებული 16 კვ.მ. ფართობის ოთახი (ოთახი ყოველმხრივ კეთილმოწყობილია: კანალიზაცია, ელგაყვანილობა). ფასი შეთანხმებით.
ტელ.: 62-46-63, ჩქარეული ზაირა.

■ ზესტაფონში, სასწრაფოდ, ორსართულიანი საკუთარი სახლი დიდი ეზოთი. ყველანაირი ხეხილით, ვენახით, მარნით, ყოველგვარი კომუნიკაციით, ავტონომიური გათბობით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. მისამართი: ზესტაფონის წყალსადენი — ქუთაისის ქ. № 14. ტელ.: 38-48-41.

■ ყოფილი ბარნოვის, ამჟამად აბაშიძის ქუჩაზე, 58 ნომერში, 3-სართულიანი კერძო სახლის მესამე სართულზე განლაგებული 5-ოთახიანი ბინა. არის დაშენების პერსპექტივა. ბინის საერთო ფართია 135 კვ.მ., გასარემონტებელი. ბინას აქვს 100 კვ.მ. ბაღი, რომელშიც დგას ერთსართულიანი, ოროთახიანი სახლი, დაშენების პერსპექტივით. სახლს აქვს კაპიტალური გარაჟი. ფასი 100000 დოლარი. ტელ.: 22-70-10, იკითხეთ ნანი.

■ სასწრაფოდ, იაფად, აგარაკი სოფელ გლდანის მაღაზიიდან ერთ კილომეტრში, ორსართულიანი სახლით, 1500 კვ.მ. ბაღ-ბოსტნით, ვაზი ტალავერით. ფასი 8000 ლარი.
ტელ.: 31-31-79, 93-55-14.

■ ოთხოთახიანი ბინა დიდ დიღომში, რკინის კარებით. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-14-24, იკითხეთ კოტე.

■ არასტანდარტული, სამოთახიანი სუფთა ბინა ორი აივნით, ტელეფონით, საგარაჟე ადგილით, დიდი სარდაფით, ოთხსართულიანი სახლის მეორე სართულზე, იპოლიტე ხვიჩიას ქუჩაზე. ტელ.: 38-36-97.

■ ვაკეში ჭავჭავაძის პროსპექტზე ოთხოთახიანი მაღალჭერიანი ბინა, შესასვლელი მე-2 სადარბაზოდან. ბინა სარემონტოა. ტელ.: 22-34-47.

■ ოთახნახევრიანი (გადაკეთებული ოროთახიანად) იზოლირებული ბინა ყიფშიძის ქ.9. 17-სართულიანი სახლის მე-12 სართულზე. აქვს შემინული აივანი — სარდაფი რკინის კარებით. საერთო ფართი 34 კვ.მ. ფასი 18000 ლარი (შეიძლება მოლაპარაკება). ტელ.: 39-01-61, იკითხეთ შუშანა.


## პრივატიზაცია


# პრივატიზაცია საქართველოს მომავალი წარმატების საწინდარია!

პრივატიზაცია


## საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ბრძანება

თბილისი

№ 45 სპეციალიზირებულ და № 29 საბარათო აუქციონზე გასატან სააქციო საზოგადოებების აქციათა პაკეტების ნუსხებში ცვლილებების დამტკიცების შესახებ

ორგანიზაციული საკითხების დაზუსტებასთან დაკავშირებით

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სააქციო საზოგადოების აქციათა პაკეტების თანდართული ჩამონათვალი, რომელთა პრივატიზება დამატებითაა გათვალისწინებული №45 სპეციალიზირებულ საბარათო და №29 საბარათო აუქციონებზე დადგენილი წესით (დანართი №1 და №2).

სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი

ა.სილაგაძე

## №29 საბარათო აუქციონი

აუქციონი ტარდება საფასურის 1996 წლის 1 ივლისამდე, ანუ წინასწარ დაფარვის პირობით, დადგენილი წესით კვირას, 1996 წლის 30 ივნისს

აქციათა პაკეტების მყიდველები ვალდებულნი არიან შეინარჩუნონ პროფილი და მხარი დაუჭირონ გადაწყვეტილებებს დადგენილი წესით სახელმწიფო შეკვეთების შესრულების შესახებ

| № | იყო აუქც. №№ | სააქციო საზოგადოების დასახელება (საწესდება გარდაქმნამდე) | გამოშვებული აქციების რაოდენობა | აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა | % საწესდებო კაპიტალიდან | ნომინალური ფასი აშშ დოლარებში | საწყისი ფასი ხაზ. ბარათებში | სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი | გენერალური დირექტორი | დაკავშირების ... |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | XXXIV | 675 „დალკი“ ... | 37899 | 4000 | 10.55 | 5200 | 520 | თბილისი ... გ.67,ტ.98364 | [illegible] | 1.06 |
| 2 | XXXIV | 678 „დალკი“ ... | 37899 | 6000 | 15.83 | 7800 | 780 | თბილისი, ... გ.67,ტ.98364 | [illegible] | 1.05 |
| 3 | XXXIV | 678 „დალკი“ ... | 37899 | 9000 | 23.75 | 11700 | 1170 | თბილისი, ... გ.67,ტ.98364 | [illegible] | 1.06 |
| | №42-XIII | *736 „...“ (...) | 986046 | 63659 | 6.456 | 93068.71 | 9307 | თბილისი, ... 38 | [illegible] | |
| | სულ: | | 1099743 | 82659 | | 117768.7 | 11777 | | | |

## დამატება №45 სპეციალიზებულ საბარათო აუქციონზე

განაცხადები მიიღება 1996 წ. 12 ივნისიდან 30 ივნისის 17 საათამდე. ს/საზოგადოების 1 აქცია 1 აშშ დოლარის ექვივალენტს ეროვნ.ვალუტაში. აუქციონის შედეგად 1 ვაუჩერის სანაცვლოდ შეიძლება გაიცეს მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 65 ცალი აქცია. აქციათა პაკეტის მყიდველები ვალდებულნი არიან შეინარჩუნონ პროფილი და მხარი დაუჭირონ გადაწყვეტილებებს დადგენილი წესით სახელმწიფო შეკვეთების შესრულების შესახებ

| № | იყო აუქც. №№ | სააქციო საზოგადოების დასახელება (საწესდება გარდაქმნამდე) | გამოშვებული აქციების რაოდენობა | აუქციონზე გასაყიდი აქციების რაოდენობა | % საწესდებო კაპიტალიდან | ნომინალური ღირებულება აშშ დოლარებში | აქციათა გამოშვების კოდი | სააქციო საზოგადოების მისამართი და ტელეფონი | გენერალური დირექტორი | დაკავშირების ... |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | XXXIV | 678 „დალკი“ ... | 37899 | 8354 | 22.04 | 8354 | 235-678 | თბილისი, ... გ.67,ტ.98364 | [illegible] | 1.06 |
| | სულ: | | 37899 | 8354 | | 8354 | | | | |

## ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს 1996-97 სასწავლო წელს აბიტურიენტთა მიღებას დღის სწავლების შემდეგ სპეციალობებზე:

1. ფერწერა
2. გრაფიკა
3. ქანდაკება
4. დეკორატიული ქსოვილები (გობელენი, ფარდაგი, თექა, ბატიკა).
5. ტანსაცმლის მხატვრული მოდელირება
6. ეთნოგრაფიული ხელოვნების ნიმუშების აღდგენა
7. კინომცოდნეობა
8. ტელერეჟისურა
9. კინო-ტელე სასცენარო

მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების, აგრეთვე უმაღლესი განათლების მქონე პირები. სწავლების პერიოდში სტუდენტები გაივლიან სამხედრო მომზადებას. სწავლება ფასიანია. გარდა ფასიანი სწავლებისა, თითოეულ სპეციალობაზე დაშვებულია უფასო სწავლების 2 ადგილი იმ აბიტურიენტებისთვის, რომლებიც კონკურსში განსაკუთრებით გამოიჩენენ თავს.

**მისაღები გამოცდები ჩატარდება შემდეგ საგნებში:**

1. მშობლიური ენა და ლიტერატურა (წერა)
2. საქართველოს ისტორია (ზეპირი)
3. სპეციალობა

აბიტურიენტებმა განცხადება უნდა შეიტანონ უნივერსიტეტის რექტორის სახელზე და თან დაურთონ შემდეგ საბუთები:

1. საშუალო ან საშუალო სპეც. განათლების დოკუმენტი (დედანი)
2. სამედიცინო ცნობა (ფორმა 086)
3. 6 ფოტოსურათი (ზომა 3X4)
4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან

პასპორტსა და სამხედრო დოკუმენტს აბიტურიენტი წარმოადგენს პირადად. მისაღებ გამოცდებში მონაწილეობისთვის აბიტურიენტი წინასწარ გადაიხდის თანხას. საბუთები მიიღება 1996 წლის 1 ივლისიდან 19 ივლისამდე ყოველდღე, 10-დან 16 საათამდე, კვირის გარდა.

**მისაღები გამოცდები ჩატარდება 1996 წლის 20 ივლისიდან.**

მისამართი: თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი 14, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის IV კორპუსი, III სართული, ოთახი 12, ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ პროფესიათა ფაკულტეტის დეკანატი.

**ტელეფონი: 29-08-47.**


შპს „ვესტ ტური", „ეარ ჯორჯიის" სააგენტო გთავაზობთ ტურისტულ მოგზაურობას ქ.ფრანკფურტში
კვირაში ოთხჯერ: ორშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევსა და შაბათს.

ფირმა გთავაზობთ შოფ-ტურებს ირანში, დასვენებას ბულგარეთისა და ესპანეთის ზღვისპირა, აგრეთვე, იტალიის ცნობილ კურორტებზე.

ფირმების ავიასალაროში შეგიძლიათ შეიძინოთ ინდივიდუალური და ჯგუფური ბილეთები შემდეგი მიმართულებებით: თელავივი, ვენა, პრაღა, პარიზი, ამსტერდამი, თეირანი, ათენი, სტამბული, მოსკოვი, სანკტ-პეტერბურგი, კიევი, ვოლგოგრადი; გააგზავნოთ ფაქსი სწრაფად და იაფად.

მისამართი: ცენტრალური ოფისი: ქ.თბილისი, ჭანტურიას ქ.№6
(სასტუმრო „თბილისის" ქვემოთ). ტელ.: 99-05-38, ფაქსი: 99-83-20
ფილიალები: 1) გამსახურდიას გამზ. №4 ტელ.: 36-25-60
2) ქაზბეგის (ყოფილი პავლოვის ქუჩა) გამზ.: №36 ტელ.: 98-96-82
3) მეტროს სადგურ „ახმეტელის თეატრის" მიმდებარე ტერიტორია ტელ.: 68-58-70
4) ქ.ბათუმი, წერეთლის ქ. №44 (ავტოსადგურთან) ტელ. 7-61-35.



ყოველდღე უფასო განცხადებები მხოლოდ «კავკასიონის» მკითხველთათვის. დაგვირეკეთ და განცხადება მეორე დღის ნომერში გამოქვეყნდება. ტელ.: 29-48-05.


საქართველოს მუსიკალური საზოგადოების მუსიკალური პედაგოგიური ინსტიტუტი სამძიმარს უცხადებს ამავე ინსტიტუტის სამუსიკო ლიცეუმის დირექტორს ელისაბედ ნინუას მამის

**გაბრიელ ნინუას**

გარდაცვალების გამო.

## კროსვორდი

შეავსეთ აღნიშნული წერტილიდან საათის ისრის მიმართულებით.

1. კათოლიკური მონაზვნური ორდენის წევრი, რომელიც ატარებს ანაფორაზე მიკერებულ კაპიუშონს. 2. სახელმწიფო სამრეწველო საწარმოთა ექსპლუატაციის უფლება. 3. ღია ფერის მსუბუქი სპორტული პიჯაკი. 4. დაუკავებელი თანამდებობა, თავისუფალი ადგილი. 5. ორგანიზმებისა და მათი გარემოს ურთიერთდამოკიდებულების შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი. 6. ანტიკური ორთვლიანი ეტლი. 7. მღვდელი, ხუცესი. 8. ქალაქი ესპანეთში. 9. კაფე ან რესტორანი, სადაც ცეკვა შეიძლება; საცეკვაო მოედანი. 10. საქალაქო ოლქი დიდ ბრიტანეთში. 11. რაიმე მოვლენის დამახასიათებელი გარეგანი ნიშანი. 12. თანამდებობათა, წოდებულებათა თანამიმდევრობა. 13. მოვალე. 14. საეკლესიო საგალობელი ორი გუნდის მონაცვლეობით. 15. ბრაზილიის შტატი. 16. სახელმწიფო, ბანკი, დაწესებულება, რომელიც აწარმოებს ემისიას. 17. რკინა-ბეტონის კონსტრუქციებში ფოლადის კარკასი. 18. წაგრძელებული სწორკუთხა უგუმბათო ტაძარი. 19. რომაულ მითოლოგიაში გამარჯვების ქალღმერთი. 20. მანჯურია-კორეის მთების რამდენიმე ქედის სახელწოდება. 21. აშშ-ს შტატი. 22. აპარატი, რომელიც ამოქმედების შემდეგ სამუშაოს ასრულებს დამოუკიდებლად. 23. ხიდისებური ნაგებობა, რომელზედაც გაყვანილია გზა. 24. საჯარო ვაჭრობით რაიმე ქონების, ნივთის გაყიდვა. 25. მსუბუქი კომედია, რომელშიც სასიმღერო კუპლეტებია ჩართული. 26. წყალგაუვალი ქსოვილი. 27. ერთგვარი გოგრა. 28. მეტისმეტად თამამი, გამბედავი. 29. ქალაქი ინგლისში. 30. ნავთობისგან მიღებული სითხე, იყენებენ მედიცინასა და ტექნიკაში. 31. სახელმწიფოებს შორის უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა. 32. ბურთის სპორტული თამაში ჩოგნით. 33. შენიშვნა ტექსტში — იმ ადგილას, რომელზედაც სურთ ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება. 34. სპილენძის შენადნობი ნიკელთან. 35. საკრედიტო დაწესებულება, რომელიც იძლევა სესხს მოძრავი ქონების დაგირავებით. 36. სამხედრო ან სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების დანგრევა.

შეადგინა ბ.ტეტელოშვილმა




### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

შვეულად: 1. ლაშარი. 2. პროპანი. 3. მარაქა. 4. ფიესტა. 5. კორონზია. 6. ემისია. 13. დირბი. 14. კორეა. 15. ანწლი. 16. ედემი. 21. აპოგეა. 23. ეტაპი. 25. დურდო. 26. ევკალიპტი. 27. დემაგოგია. 28. ბედუინი. 29. ოპტაცია. 30. მუმია. 31. კამეა. 32. კიური. 33. ამირა. 39. აპნოე. 40. ბაზეტა. 41. ილორი. 43. კაფია. 44. ნალია. 45. დიდრო. 46. ოდინი. 50. აკლდამა. 51. გეპარდი. 53. ავანსი. 55. ედიქტი. 56. პოკერი. 57. დოკერი.

თარაზულად: 7. ლავრა. 8. მანია. 9. დოგმა. 10. ზალპი. 11. ვალსი. 12. ტორსი. 17. ლიმონი. 18. ნუსხა. 19. ამური. 20. არნადი. 22. აბრეგე. 24. უზურპაცია. 25. დელგმა. 28. ბუნგალო. 34. ბუტანი. 35. ოპიუმი. 36. ოლეუმი. 37. იდალგო. 38. ვივერა. 41. იფრარი. 42. იზაბელა. 47. კაბარე. 48. რეპუტაცია. 49. ისინდი. 52. სიბილა. 54. კურიე. 56. პადრე. 57. დორანი. 58. მაუდი. 59. შიპკა. 60. კაფკა. 61. ასთმა. 62. ოტური. 63. ოდერი.


რედაქტორ-გამომცემლები
ვასილ მაღლაფერიძე და პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი რედაქტორი ზაზა ტალახაძე,
პასუხისმგებელი მდივანი დავით ნინიკაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7.
ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 23-52-12.